საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030625386878420

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/3898 **16 / სექტემბერი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

მოგახსენებთ, რომ მსოფლიო პანდემიისა და საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19)-გან მოსახლეობის დაცვის მიზნით, ,,საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატა პროგრამა ,,ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა“, რომლის ერთ-ერთი თანაგანმახორციელებელი ,,2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №674 დადგენილებით განსაზღვრულია სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

როგორც თქვენთვის ცნობილია ბოლო პერიოდში ქვეყნის მასშტაბით რადიკალურად გაზრდილი COVID 19 დიაგნოსტირების მოცულობის შესაბამისად იზრდება პროგრამაში ჩართულ დაწესებულებებზე ასანაზღაურებელი თანხის მოცულობა. ზემოაღნიშნული პროგრამიდან ცენტრის ბიუჯეტის წილი 22 050 ათასი ლარია, საიდანაც დღევანდელი მდგომარეობით საკასო ხარჯი 15 242 ათას ლარს შეადგენს. ჩვენი გაანგარიშებით წლის ბოლომდე ხარჯების გასაწევად პროგრამის ბიუჯეტი საჭიროებს გაზრდას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ ,,საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით და ,,2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის № 674 დადგენილებით დამტკიცებული ,,ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა“ (პროგრამული კოდი 27 03 03 11) პროგრამის ბიუჯეტის ასიგნება ცენტრს გაეზარდოს მინიმუმ 15 000 ათასი ლარით.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

პაატა იმნაძე